







2010 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 76,0 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 41.5 პროცენტით ნაკლებია 2009 წლის პირველი კვარტლის მონაცემზე. 2009 წელს საქართველოში 760,0 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.

საქართველოში 2010 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წყაროების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: საწარმოები - 58.0 პროცენტი (44,0 მლნ. აშშ დოლარი), პრივატიზაცია - 28.0 პროცენტი (21,1 მლნ. აშშ დოლარი), საფინანსო სექტორი - 14.0 პროცენტი (10,6 მლნ. აშშ დოლარი).

2010 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მრეწველობაზე (24,2 მლნ. აშშ დოლარი) მოდის, რომელსაც სექტორული ინვესტიციების 23.0 პროცენტი უკავია, შემდეგ მოდის ენერჯეტიკა - 18.0 პროცენტი (19,3 მლნ. აშშ დოლარი) და საფინანსო სექტორი - 10.0 პროცენტი (10,6 მლნ. აშშ დოლარი).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური